საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 99 2024 წლის 1 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზოგიერთი უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლისათვის, ილია შამუგიასათვის, დელეგირების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში სრული ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის – ბრძანების გამოცემის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის, სამსახურებრივი დოკუმენტაციის ხელმოწერის, საქართველოს მთავრობის რეგლამენტით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სხდომის მომზადების, სხვა სახელმწიფო (მათ შორის, სასამართლო) ორგანოებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, საზოგადოებრივ და, კომპეტენციის ფარგლებში,

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სახელით გამოსვლის, ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებისა და ამ უფლებამოსილებების გადანდობის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სახელით სარჩელის აღძვრის, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სახელმწიფო მოსამსახურეების, მათ შორის, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის წარდგინებით საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივ მივლინებებთან დაკავშირებით სათანადო ბრძანების გამოცემის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაწესებულების ხელმძღვანელის სხვა უფლებამოსილებები, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სახელზე წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების, აგრეთვე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვისა და აღნიშნულთან დაკავშირებით ბრძანების გამოცემის უფლებამოსილებები, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებისა და გადანდობის, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის ფარგლებში შექმნილ ოფიციალურ დოკუმენტებზე (სამართლებრივ დასკვნებზე/წერილებზე) ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ილია შამუგიას.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზოგიერთი უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის

ადმინისტრაციის უფროსისათვის, რევაზ ჯაველიძისათვის, დელეგირების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინიტრის 2024 წლის 13 თებერვლის №80 ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია 2024 წლის 1 მარტიდან.

ირაკლი კობახიძე